შუახევის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

ბატონო ფრიდინ,

წარმოგიდგენთ, ინფორმაციას მ/წლის 21 თებერვლის, მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

დანართი: ოქმი N 2; 5(ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს თავმჯდომარე: ბეჟან დიასამიძე.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
მიღებულია № 1147/07
«05» 03 2019 წ.
ფურცელი 6 ეგზემპლარი 1 დანართი 5

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს სხდომის

ოქმი N2

21.02. 2019 წელი

სხდომას 15 წევრიდან ესწრებოდნენ:

1. ბეჟან დიასამიძე;
2. ნათელა ბახტაძე;
3. შაქრო ხიმშიაშვილი;
4. მზია გოგაძე;
5. რომან დუმბაძე;
6. ბადრი ქათამაძე;
7. შუშანა ფუტკარაძე;
8. მერაბ მაკარაძე;
9. გელა აბაშიძე;
10. თამაზ ტაკიძე;
11. ვასო ხიმშიაშვილი;
12. სარდიონ დავითაძე;
13. ვაჟა დავითაძე;
14. ფრიდონ ფუტკარაძე;
15. პაატა ქათამაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ფრიდონ ფუტკარაძე, მერის მოა[illegible]ილეები: ბატონი ომარ ტაკიძე და ქალბატონი რუსუდან შავაძე, ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორი ქალბატონი მაკა მაკარაძე და ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ქალბატონი ნათელა ფუტკარაძე.

დღის წესრიგი:

1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ინფორმაცია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტების შერჩევის, სამუშაოთა მიმდინარეობის თაობაზე

/ ინფორმაციით: ომარ ტაკიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე /

2. ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში არსებული მდგომარეობის შესახებ

/ ინფორმაციით: მაკა მაკარაძე - ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორი/

3. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ინფორმაცია ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობის შესახებ

/ინფორმაციით: ნათელა გოგიტიძე - ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი/

4. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე /

მოისმინეს: 1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ინფორმაცია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტების შერჩევის, სამუშაოთა მიმდინარეობის თაობაზე

/ ინფორმაციით: ომარ ტაკიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე /

ბატონმა ომარ ტაკიძემ თავის ინფორაციაში ისაუბრა შუახევის მუნიციპალიტეტის 2018 წელს ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, მათი შესრულებისა და 2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. მის გამოსვლაში გამოიკვეთა სამომავლო პრიორიტეტები.

2018 წელს ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი იყო 7400000 ლარი, დაიხარჯა 6536000 ლარი, რის მიხედვითაც სამუშაოთა შესრულება იყო 90%. დაგეგმილი იყო 202 ღონისძიება, დასრულდა 180 ღონისძიება, გარდამავალში გადავიდა 16, შეწყდა 5, არ შედგა 1, მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაო ჩანჩხალოში. 2018 წლის ღონისძიებებიდან გამოვყოფდი ინწკვირეთიდან ჩანჩხალო-ნიგაზეულის წყალგაყვანილობას 3250000 ლარის დაფინანსებით, განხორციელდა 60-მდე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიება, დაიგო ბეტონის საფარი გზებზე რთულ მონაკვეთებზე, განხორციელდა სხვადასხვა წყალმომარაგებითი ღონისძიება, განსაკუთრებული ხელშეწყობით სარგებლობდა ტურიზმის განვითარება.

2019 წელს ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილია 6190500 ლარი, გარდამავალი ღონისძიებები სულ 16, თანხით780755 ლარის, აქედან დასრულებულია 5 ღონისძიება, დასრულების სტადიაშია 3, მიმდინარეობს 7.

მიმდინარე წელს 42 დაგეგმილია ინფრასტრუქტურული ღონისძიება, თანხით 5409745 ლარი. აქედან მიმდინარეობს ერთი ღონისძიება - ხაბელაშვილების ბაღი, შერჩევა-შეფასება მიმდინარეობს 10 ღონისძიებაზე, ტენდერი გამოცხადებულია 6-ზე, სატენდეროდ მზადაა 11, დანარჩენ 14 ღონისძიებაზე მზადდება პროექტი. უკვე გამოცხადებულია ტენდერები ჯაბნიძეების ბაგა-ბაღზე, ნიგაზეული-ჩანჩხალოს სასმელი წყლის შიდაქსელებზე, წყალსაყრის გზებზე, ჟანივრში სანიაღვრე არხის მოწყობაზე, ბუთურაულის მოსაცდელის მშენებლობაზე. ამ წლის ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებში ფართო ყურადღება ეთმობა შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობას. ყველა ღონისძიება გათვლილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებაზე და პრიორიტეტებიც შესაბამისადაა დადგენილი.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის გათვლები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებისა. ვასო ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა მათგანი სწორად და დროულად არის დაგეგმილი და მათი დროული შესრულება დიდად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოფლად ცხოვრების პირობებს. სხდომაზე კიდევ დაისვა სხვა ახალი საჭიროებები და იმედი გამოითქვა, რომ მუნიციპალიტეტის მერია მომავალში გაითვალისწინებს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერიას დაგეგმილი სამუშაოების მიზნობრიობისათვის და წარმატებები უსურვეს.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ომარ ტაკიძის ინფორმაცია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტების შერჩევის, სამუშაოთა მიმდინარეობის თაობაზე.

მოისმინეს: 2. ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში არსებული მდგომარეობის შესახებ

/ ინფორმაციით: მაკა მაკარაძე - ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორი/

ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა მაკა მაკარაძემ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმოუდგინა ინფორმაცია შუახევის კულტურის ცენტრის 2018 წელს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. მან ისაუბრა კულტურის ცენტრის მიზნებსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე, იმ კულტურულ ღონისძიებებზე, რომლებიც განხორციელდა წლის განმავლობაში, როგორიცაა ტრადიციული ხელოვნების - ფოლკლორის შესწავლა-პოპულარიზაცია, ასევე ლიტერატურისა და თანამედროვე ხელოვნების განვითარება, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობა, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა.

2018 წელს კულტურის ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა 447150 ლარს, წელს გაიზარდა და შეადგენს 507150 ლარს. თანხები მიზნობრივადაა გადანაწილებული ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ფოლკლორული ანსამბლების, სალოტბარო სკოლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილებაში სხვადასხვა წრის მუშაობისა და პროექტების დაფინანსებაზე. ინფორმაციაში დაწვრილებით იყო აღნიშნული კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების მონაწილეობაზე, როგორც ადგილობრივ, ასევე გასვლით ღონისძიებებში. ასევე რესპუბლიკის გარეთაც, ანსამბლები: „ზე-კართან", „ფესვები", „ჭვანა", „მარეთი" მონაწილეობდნენ თურქეთის რესპუბლიკაში მე-18 საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში.

ინფორმაციაში აღნიშნული იყო 2019 წელს დაგეგმილი გასვლითი ღონისძიებების შესახებ: უკრაინის რესპუბლიკაში, კარპატების რეგიონში ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს ანსამბლი „მარეთი" (25 მაისი-1 ივნისი). ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზე-კართან" მონაწილეობას მიიღებს მოლდავეთის რესპუბლიკის ქალაქ კაგულაში საერთაშორისო ფოლკლორის მე-16 სეზონში.

ინფორმაციაში აღნიშნული იყო კულტურის ცენტრის, შუახევის საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების აუცილებლობის შესახებ.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში არსებული მდგომარეობის შესახებ

მოისმინეს: 3. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ინფორმაცია ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობის შესახებ

/ინფორმაციით: ნათელა გოგიტიძე - ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი/

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ქალბატონი ნათელა გოგიტიძის ინფორმაციით, 2018 წლის ბოლოსთვის შუახევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 ბაგა-ბაღი და 6 ალტერნატიული ბაღი. აღსაზრდელთა რაოდენობაა 430, ალტერნატიულებში კი 62. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს ემსახურება184 თანამშრომელი, აქედან 11 მენეჯერი, 32 აღმზრდელი, 11 ფსიქოლოგი, 2 ლოგოპედი და 2 სპეცმასწავლებელი.

ბაგა-ბაღების გაერთიანება ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტით, წლის დასაწყისში 924040 და დღეის მდგომარეობით 1011040 ლარი. 2018 წლის საბიუჯეტო ხარჯები მიზნობრივადაა გამოყენებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტკიცების მიზნით. ყველა საბავშვო ბაღში მაღალორგანიზებულად ჩატარდა დაგეგმილი ღონისძიებები.

გაერთიანებაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველთვიურად მოულოდნელად გადის ბაღებში და ამოწმებს არსებულ მდგომარეობას. მონიტორინგის ჯგუფში ჩართულია იურისტი, ბუღალტერი და მნე.

ინფორმაციაში დასმული იყო პრობლემებიც. ყველა სტრუქტურულ ერთეულში გარდა ჭვანისა, მოსაწყობია ეზოები, შესაძენია დიზელ-გენერატორები, სადაც ცენტრალური გათბობაა. კაპიტალურად ამოსაშენებელია საწვავის ავზები და დასამონტაჟებელია საწვავის მრიცხველები. ექვს სტრუქტურულ ერთეულში არ გვაქვს კომპიუტერი და მუსიკალური ცენტრები. დაბის, უჩამბის, ჭვანის, ნიგაზეულის, მახალაკიძეების სტრუქტურულ ერთეულებში ნაწილობრივ შესაცვლელია ინვენტარი. მახალაკიძეების სტრუქტურული ერთეული არ ექვემდებარება არანაირ სტანდარტებს და ესაჭიროება რეაბილიტაცია.

დაადგინეს : ცნობად იქნას მიღებული ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ინფორმაცია ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობის შესახებ

მოისმინეს: 4. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე/

დაადგინეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდეს მიმდინარე წლის მარტის თვეში.

სხდომის თავმჯდომარე: / ბეჟან დიასამიძე /

მდივანი : / მზია გოგაძე /